ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991 სამშაბათი 22 ოქტომბერი № 118 (10511) ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო. გაზეთი გამოდის 1920 წლის 7 მარტიდან

## ვუპატრონოთ განაწამებ ქართულ მიწას

უკანასკნელი დროის მღელვარე მოვლენები უფრო და უფრო ზრდის ინტერესს საქართველოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი. სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად წინ იწევს სოფლის მეურნეობის შემდგომი რადიკალიზაციის თემა. კერძოდ, ამასწინათ გამართულ საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიის სხდომებზე ძალზე მძაფრად გამოიკვეთა იმის საჭიროება, რომ დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული მიწის რეფორმა, მოხდეს სასოფლო წარმოებაში დღემდე მოქმედი სტრუქტურების შეცვლა ახალი ფორმებით.

ეს გახლავთ კარდინალური პრობლემა, რომლის გადაწყვეტის გაჭიანურება ნიშნავს სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის სფეროში არსებული სიძნელეების გაღრმავებას. როგორ მოვაწყოთ და ვმართოთ მიწათმოქმედების მთლიანი სისტემა, რა ხერხებითა და საშუალებით შევძლოთ სასოფლო წარმოების შემდგომი ლიბერალიზაცია? — ეს კითხვა აღელვებს დღეს ნებისმიერ ქართველს, რომელსაც ელცნებება თავისუფალი, ხელფეხგახსნილი გლეხი, სახელოვანი წინაპრების მეურნული ტრადიციების კვალში ჩამდგარი, ხვალინდელი სოფლის ამაღორძინებელი.

ახლახან პრესაში გამოქვეყნებული კანონის პროექტი მიწის რეფორმის შესახებ საყოველთაო განხილვის საგანი ხდება. ეს დოკუმენტი თავისი შინაარსით იძლევა საშუალებას ფართო სპექტრით წარმოჩნდეს თანამედროვე სოფლის ეკონომიკა მისი ყველა ასპექტით, პრობლემით.

ვინც ამ ახალ კანონს ღრმად გაეცნობა და გაითავისებს, იოლად მიხვდება, თუ რაოდენ მასშტაბური და მრავალმხრივი ანალიზური მუშაობაა ჩატარებული სოფლის ეკონომიკის ახალ რელსებზე გადასაყვანად. ამიერიდან გამოირიცხება სოფლის მეურნეობის მართვაზე დირექტიული დაწოლის ბერკეტები და გზა გაეხსნება წარმოებითი, თუ ეკონომიკური ურთიერთობის დემოკრატიულ ფორმებს და სტრუქტურებს. სოფლად ფაქტიურად ინერგება მრავალწახნაგოვანი ეკონომიკა, რომელიც თავისთავად გულისხმობს სამეურნეო კავშირების ფართო პალიტრას: სასოფლო კოოპერაცია, მრავალსახა იჯარა, აქციონერთა საზოგადოება, ფერმერული მეურნეობა და ა. შ. რაღა თქმა უნდა, არსებობის უფლება უნარჩუნდება საზოგადოებრივი მეურნეობის დღემდე მოქმედ სტრუქტურებს, ოღონდ არსებითი მოდერნიზაციის საფუძველზე, მიწის კანონმდებელი სავსებით სამართლიანად ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ ყოველნაირად უნდა გამოირიცხოს ადამიანებზე ამა თუ იმ ფორმის ძალად თავზე მოხვევის მომენტი. ყველაფერს ადგილზე გადაწყვეტს სოფლის ფართო მოსახლეობის ნება, დამყარებული სადღეისო ტენდენციების სწორად გააზრებაზე.

დღეს არავისთვის არ არის საეჭვო ის ფაქტი, რომ მიწაზე კერძო საკუთრება უნდა დამკვიდრდეს. მაგრამ ამის ერთბაშად, ან რაღაც ერთნიშნა, ზოგადი რეცეპტებით გაკეთება შეუძლებელია. საჭიროა ეტაპობრივად გავიაროთ ეს უმტკივნეულესი პროცესი. გავიაროთ არა ფორსირებულად, არამედ ბუნებრივად, ნაკლები დანაკარგებით და გართულებებით.

მიწათმფლობელობის არსებული მოუქნელი სისტემის შეცვლას მნიშვნელოვნად განაპირობებს სრულიად ახლებური პრინციპებით და კრიტერიუმებით მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობა. სოფლის დამოუკიდებლობა არსებითად შეცვლის მის უფლებებს და გარანტიებს.

სოფლად მიმდინარე პრობლემების სამართლებრივად და რეგულირების საქმეში განუზომელ როლს შეასრულებს ახლახან გამოსული საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი სოფლის სტატუსის შესახებ. ადგილებზე შერჩეული საინიციატივო ჯგუფები მოვალენი არიან უზრუნველყონ სოფლის ისტორიული საზღვრების დადგენა. აღნიშნული კანონით განისაზღვრება სოფლის თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილება, სოფლის მიწის ფონდი, სოფლის ქონება და ა. შ.

ერთი სიტყვით, დღევანდელ ქართულ სოფელში ძირეული გარდაქმნები მიმდინარეობს. ამიტომ ნებისმიერი ნორმატიული აქტი, რომელიც მიწათსარგებლობის პრობლემებს ეხება, ღრმად უნდა გავიცნობიეროთ და მშრომელებამდე დავიყვანოთ. მთელი ამ ძალისხმევის მიზანი ისაა, რომ ქართულმა მიწამ ბოლოს და ბოლოს იპოვოს თავისი ნამდვილი პატრონი — ქართველი გლეხი, ის ნამდვილი მეურნე, რომელსაც ეცოდინება ამ მიწის ყადრი და ფასი, ვინც შეძლებს ამ მიწაზე შექმნას ქვეყნისათვის აუცილებელი პური ჩვენი არსობისა.

## დელეგაცია მოსკოვში არ წავიდა...

როგორც პრესაში იუწყებოდნენ, ამა წლის 18 ოქტომბერს მოსკოვში განზრახული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური შეთანხმების ხელმოწერა, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს წინადღეს საღამოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ გივი თაქთაქიშვილმა უთხრა, ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია არ წავა მოსკოვში, მეთვალყურედაც კი. მისი თქმით, ამ ეტაპზე, სანამ გათვალისწინებული არ იქნება საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების, მთავრობის მიერ გამოთქმული შენიშვნები შეთანხმების პროექტის ცალკეული დებულებების თაობაზე, რომლებიც ბღალავს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ლაპარაკი არ შეიძლება ეკონომიკურ შეთანხმებაზე, მასში საქართველოს რესპუბლიკის მონაწილეობაზე.

საქინფორმი.

## წერილი რედაქციას

ამა წლის 8 ოქტომბრის გაზეთ „ოდიშის" მეორე გვერდზე რუბრიკით „ქრონიკა, ფაქტი, ინფორმაცია" გამოქვეყნებულ

### მცირე განმარტება

მასალაში ინკოგნიტო ავტორმა კრიტიკული კალამი გაჰკრა მდინარე ჩხოუშიას მარჯვენა სანაპიროზე გახსნილ ბაზარს. ვინაიდან გვერდის მომზადებას უძღვებოდა მწვანეთა მოძრაობის პრესცენტრის ხელმძღვანელი მაია კვარაცხელია, ვფიქრობთ, პასუხის სუბიექტიც ის იქნება.

ახლა კი გვსურს განვაცხადოთ შემდეგი:

1. ეს ბაზრობა არსაიდან არ არის გადმოტანილი. იგი რუხის ბაზრობისაგან დამოუკიდებლად იქნა გახსნილი პრეფექტურის გადაწყვეტილებით. ჯერ-ჯერობით ბაზრობის აკრძალვის არავითარი ოფიციალური დოკუმენტი არ მიგვიღია.

2. ადმინისტრაციასთან ინახება სახანძრო, სანეპიდსადგურის, ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის ზუგდიდის სარაიონთაშორისო კომიტეტის მიერ გაცემული ნებართვები.

3. რატომ ჰგონია ინფორმაციის ავტორს, რომ ბაზრობა ეკოლოგიურად არასახარბიელო კერაა? მოედანი სისტემატურად სუფთავდება ქაღალდის ნაგლეჯებისაგან, სხვა რამ იქ არ რჩება. ასე, რომ ეს ბრალდება გაუგებარია. იქნებ ინკოგნიტო ავტორს მდინარე ჩხოუშია ჰგონია იმდენად დაბინძურებული, რომ მის სანაპიროზე მოქალაქეთა ყოფნა სიცოცხლისათვის საშიშ მოვლენად აღიქვა?..

თ. ბიბია,
მრავალდარგოვანი კოოპერატივი „გარანტიას" თავმჯდომარე.

## ასეთი სტატიები პროგრესს წაადგება

გაუნელებელი ინტერესით წავიკითხე 18 ოქტომბრის გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტში" გამოქვეყნებული მარშალ გოლდმანის სტატია სათაური: „განქორწინდი, ოღონდ მტრად ნუ გაიხდი".

ცნობილი ამერიკელი სოლიოტოლოგი უზუსტესი — დამაჯერებელი ინტონაციით მიანიშნებს ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ჭეშმარიტად დემოკრატიულ წრეებში არსებულ განწყობილებას საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების მიმართ. განსაკუთრებით ფასეულია ის კეთილი მეტამორფოზა, რაც ამ ბოლო დღეებში ემჩნევა პრეზიდენტ ბუშის შეხედულებებს ეგრეთწოდებული საბჭოური პრობლემებისადმი, წერილში აღნიშნულია ბუშის შეცდომებზე, რომლებიც მან დაუშვა ივლისის თვეში მოსკოვსა, თუ კიევში ყოფნისას. მან შეურაცხყოფა მიაყენა ელცინს და წარმოსთქვა წარუმატებელი სიტყვა კიევში. ამჟამად ამერიკის პრეზიდენტი აღიარებს თავის შეცდომებს და უარყოფს ადრინდელ ორიენტაციას ერთიანი კავშირის შესახებ.

ამ პუბლიკაციის თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს ამერიკის ადმინისტრაციის პროგრესული ფრთის კეთილი ნება და მზადყოფნა სავსებით ობიექტურად და რეალურად შეაფასონ საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესი. სწორედ ამდაგვარ გაგებას ძალუძს სწორად გადაჭრას ცალკეული რესპუბლიკების სრული სუვერენიტეტის პრობლემა.

იმედი გვრჩება, რომ ისტორიულად კანონზომიერ პროცესს ვერავითარი რეაქციული ძალა ვერ შეაფერხებს.

ნინო შელია.

## ახალქალაქიდან გვწერენ

### ძალადობა დაუშვებელია

ამას წინათ გაიმართა ახალციხის საკრებულოს (გამგებელი ვ. ფარცვანია) სხდომა, რომელზეც სოფლის პრობლემურ საკითხებთან ერთად იმსჯელეს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და მძიმე სოციალური ვითარების შესახებ.

დეპუტატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რესპუბლიკაში ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტსა და პრეზიდენტს და დაგმო ოპოზიციის მიუღებელი მოქმედებანი. განსაკუთრებით ხაზი გაესვა ძალის, იარაღის გამოყენების დაუშვებლობას, რაც ძირს უთხრის სამოქალაქო მშვიდობასა და თავისუფლებას.

თუ გადაგვარჩენს რამე, ეს მხოლოდ პარლამენტისა და პრეზიდენტის მხარში ამოდგომა, — აღინიშნა საკრებულოს სხდომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა ახალგაზრდა პოლიტოლოგებს

# მიზანი — სამართლებრივი სახელმწიფო

უკანასკნელ ხანს ჩვენში მიმდინარე რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ფონზე მკვეთრად გამოჩნდა საქართველოს როგორც არასამართლებრივი ქვეყნის მეტად სამწუხარო პერსპექტივა. როცა ვლაპარაკობთ ამ პერსპექტივაზე, მხედველობაში გვაქვს ჩვენში არსებული არადემოკრატიული ინსტიტუტები და ხელისუფლების ავტორიტარული ხასიათი, რაც საფუძველშივე სპობს ყოველგვარ მისწრაფებას სამართლებრივი სახელმწიფოსკენ. ვიდრე გავარჩევდეთ სამართლებრივი სახელმწიფოს არსს, საჭიროა ვიცოდეთ, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მმართველობის ფორმა დემოკრატიაა, ხოლო არასამართლებრივში — დიქტატურა. დიქტატურა პიროვნების მტერია, რადგან მასართმევს პირად თავისუფლებას. იგი სპობს და ანადგურებს პიროვნებას. დემოკრატია კი პირიქით — უშვებს პიროვნების პირად თავისუფლებას, მაგრამ არა აბსოლუტურს, არამედ შეფარდებითს. იგი შეზღუდულია მხოლოდ კანონიერების ფარგლებით (კანონიერების ფარგლებში პიროვნებას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი — გააკრიტიკოს ხელისუფლება, არ დაეთანხმოს მას და სხვა). კანონიერი თავისუფლება ანუ თავისუფლება კანონიერების ფარგლებში — ესაა დემოკრატიის უმთავრესი პრინციპი. გარდა ამისა, დემოკრატია ხასიათდება სპეციფიკური ნიშნებით, რომელთა გარეშე თანამედროვე სახელმწიფოს ფუნქციონირება წარმოუდგენელია.

1). **სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა**, რაც ნიშნავს კანონის უზენაესობის დაცვას ასეთ სახელმწიფოში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს რეგულირება ხდება მხოლოდ კანონების საფუძველზე და მათ შესაბამისად. როგორც რიგითი მოქალაქეები, ასევე თანამდებობის პირები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ერთნაირად ექვემდებარებიან კანონს. იგი ყველასათვის ერთია, მისი დარღვევა არ შეუძლია პრეზიდენტსაც კი. ეს გარემოება განსაზღვრავს კანონიერების არსებობას ქვეყნებში, რაც უზრუნველყოფს პიროვნების ღირსებასა და ხელშეუხებლობას.

2). **სიტყვის, პრესისა და რწმენის თავისუფლება**, ცენზურის გაუქმება, რაც გულისხმობს, რომ თითოეულ მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულება, იწამოს ან არ იწამოს ესა თუ ის რელიგია. ამის შედეგია პლურალიზმი და რაც მთავარია, მრავალფეროვანი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება. მასში ადგილი აქვს აზრთა, ღირებულებათა და რწმენათა თავისუფლებას. ამის გარდა არსებობს პირადი თავისუფლება, რაც ნიშნავს, რომ ყოველ მოქალაქეს თავისუფლად, თვითონ შეუძლია აირჩიოს ან გადაწყვიტოს როგორ მოიქცეს და რას დაუჭიროს მხარი.

3). **სხვაგვარად აზროვნებისა და სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა.** გულისხმობს, ყოველ მოქალაქეს შეუძლია დაეჭვდეს ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, არ გაიზიაროს და გააკრიტიკოს იგი. ამგვარი საქციელი არათუ ითვლება დანაშაულად, არამედ სავსებით ბუნებრივ და ნორმალურ მოვლენად მიიჩნევა.

4). **მრავალპარტიული სისტემა** — ქვეყანაში არსებობს რამდენიმე პარტია. ისინი თანასწორნი არიან, არც ერთ მათგანს რამე უპირატესობა კონსტიტუციის მიხედვით არ გააჩნია. ერთ რომელიმე პარტიას არა აქვს მისაკუთრებული ქვეყნის მართვა. ნებისმიერს შეუძლია მოექცეს ხელისუფლების სათავეში. ეს საკითხი კი წყდება საყოველთაო არჩევნების გზით. ის პარტია, რომელიც არჩევნებში გაიმარჯვებს, გარკვეული ვადით დგება ხელისუფლების სათავეში, ამასთან შემდეგ არჩევნებში მან შეიძლება ნდობა დაკარგოს და გაიმარჯვოს სხვა პარტიამ. ამის გამო ადგილი აქვს ხელისუფლების მონაცვლეობას პარტიათა შორის. ეს გარემოება კი თავის მხრივ გამორიცხავს ძალაუფლების უზურპაციას ერთი პარტიის მიერ.

5). **ხელისუფლების ფუნქციების განაწილება** საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს შორის. საკანონმდებლო ფუნქცია არის პარლამენტის, აღმასრულებელი მთავრობის, ხოლო სასამართლო — მართმსაჯულების ორგანოების ხელში. ეს ხდება იმიტომ, რომ არ მოხდეს მთელი ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი ორგანოს ან ერთი პირის გამგებლობაში, რაც უკვე დიქტატურის წინამძღვარია.

6). **სახელმწიფო დეიდეოლოგიზაცია** ნიშნავს, რომ არ არსებობს სახელმწიფოს მიერ მიღებული, ოფიციალურად დაკანონებული იდეოლოგია, რომლის საფუძველზეც უნდა ხორციელდებოდეს ქვეყნის მართვა. სახელმწიფოში მიღებულია კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის ძირითადი კანონია. მის საფუძველზე და მის ფარგლებში ხდება საზოგადოების მართვა. კონსტიტუცია და არა იდეოლოგია. (მიუხედავად იმისა, ეროვნულია იგი თუ არაეროვნული) არის პოლიტიკური მმართველობის საფუძველი. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ კი მკითხველისთვის თავად მიგვინდვია იმის გააზრება, თუ ზემოთჩამოთვლილი დემოკრატიული ნორმებიდან რომელია უგულვებელსაყოფი და მით უმეტეს მიუღებელი.

**კორნელი კაკაჩია,**
**გელა კვაშილავა,**
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

ახალი წიგნები

## საინტერესო გამოცემა

გამოიცა ახალი წიგნი „ებრაელი ხალხის ისტორიიდან". მისი ავტორია აბრეკ ბათოშვილი, რომელიც საშური კეთილსინდისიერებით მიმოიხილავს ებრაელი ხალხის ისტორიას დასაბამიდან დღემდე.

ამ საინტერესო ნაშრომს ხსნის პროფესორ ზ. კიკნაძის წინასიტყვაობა, რომელშიაც ვკითხულობთ:

„ავტორი მოუთხრობს მკითხველს ებრაელთა ისტორიის ყველა მნიშვნელოვან ეპოქაზე, ნაბიჯ-ნაბიჯ, დაწყებული იმ ხანიდან, როცა ამ ხალხს „არ ჰქონდა სახლი და ქალაქი, არმია და იარაღი", როცა „მთელი მისი სიმდიდრე, ავლადიდება, იდეები იყო, რომლებმაც შემდგომში მსოფლიო დაიპყრო", დამთავრებული უკანასკნელი ხანით, როცა ქანაანის ძველ მიწაზე შეიქმნა წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო ისრაელის სახელწოდებით, როგორც ამბობენ, მყოფობა ევროპისა აღმოსავლეთში"...

ნაშრომის სხვა ფრაგმენტში ვკითხულობთ „წიგნში მოტანილი ფაქტები ებრაელთა ძველი და უახლოესი ისტორიიდან გვარწმუნებს, რომ ებრაელობაში არასოდეს ჩაკლულა სავსებით თავისუფლების მოყვარული სული, ბედთაგან შეურიგებლობის სულისკვეთება (მაკაბელთა ხანა, ბარ კოხბას აჯანყების პერიოდი, თუნდაც, თანამედროვე ისრაელის შექმნის ისტორია). სწრაფვა ისტორიული სამშ[illegible]საკენ"...

# იმედით ელიან

მას თურმე ადრე, 30-იან წლებში, გლეხთა სახლი ერქვა; შემდეგ ქალაქის ცენტრში მდებარე ეს ორსართულიანი შენობა განათლების მუშაკთათვის გადაეციათ და ბარე ნახევარ საუკუნეზე მეტხანს, ავად თუ კარგად, ასრულებდა იგი თავის დანიშნულებას. მაგრამ დროის მსახვრალი ხელი მასაც შეეხო. ლამის წაქცევის პირას მისული სახლი 1987 წელს აღებულ იქნა, მის ადგილზე მშვენიერი სკვერი გაშენდა და ილია ჭავჭავაძის ბიუსტი აღიმართა...

სად განთავსდა განათლების მუშაკთა ანუ მასწავლებელთა სახლის დირექცია? ძველი შენობის მოშლით გაუმჯობესდა თუ პირიქით — გაუარესდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა? ამ კითხვების პასუხი ცალსახაა: განათლების მუშაკთა სახლის პერსონალს გადაეცა ყოფილი რაიონის განათლების განყოფილების (რუსთაველის ქუჩა №95) მიერ გამონთავისუფლებული სამი ოთახი — იმთავითვე ვიწრო და ავიროული... ძალზე შეიზღუდა საწრეო თუ სხვა სახის მუშაობა.

...1987 წელს გაიხსნა ზუგდიდის ბავშვთა და მოზარდთა კლუბი. კლუბმა არსებობის ოთხი წლის მანძილზე გახსნა მოყვარულთა თოჯინების თეატრი (ახლახან მიიღო სახალხო თეატრის წოდება), საბავშვო თეატრი „აია" (ხელმძღვანელი მაია დადვანი). „აიამ" ჯერჯერობით სამი სპექტაკლი უჩვენა ნორჩ მაყურებელს. თოჯინების თეატრს ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მურმან ფურცხვანიძე. კლუბთან ფუნქციონირებს სამეჯლისო-სპორტული ცეკვის, მხატვრული კითხვის, ვოკალური, უცხო ენების შემსწავლელი და სხვა წრეები.

ამა წლის სექტემბრამდე ზემოხსენებული განათლების მუშაკთა სახლი (დირექტორი დ. გოგოხია) და ბავშვთა და მოზარდთა კლუბი ცალ-ცალკე მოქმედებდა, მაგრამ შედიოდა განათლების მუშაკთა პროფკავშირების დაქვემდებარებაში. 10 სექტემბერს განათლების მუშაკთა საქალაქო საბჭოს სხდომაზე (ესწრებოდა საბჭოს 115 წევრი) განათლების მუშაკთა სახლი და ბავშვთა კლუბი გაერთიანდა და მას საბჭოს წევრების აბსოლუტური უმრავლესობის მოთხოვნით ეწოდა განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ზუგდიდის მასწავლებელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი.

ამ შემოქმედებითი ცენტრის პრობლემებზე საუბრისას მისმა დირექტორმა, ქალბატონმა ინეზა ბაძღუამ განსაკუთრებული გულისტკივილით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ცენტრს არა აქვს მუშაობისათვის ერთიანი მყარი ბაზა, ახლა განთავსებულია დაქუცმაცებულად, სამ სხვადასხვა ადგილას. არადა, ჯერ კიდევ 1970 წელს დაპროექტდა განათლების მუშაკთა სახლის (ფაქტობრივად კომპლექსის) მშენებლობა, დაშვებული იყო სახსრებიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელება ამჯერადაც „დროის შვილთა" სუბიექტივიზმსა და განუკითხაობას შეეწირა...

აუცილებელია ცენტრი მოთავსდეს ერთ შენობაში, ერთ ჭერქვეშ. ქალაქის ხელმძღვანელობამ თუნდაც სარემონტო, ძველი შენობა გამოგვიყოს, თანახმა ვართ, ჩვენ შევაკეთებთო, — ამბობენ ცენტრის მესვეურნი და იმედით შეჰყურებენ მომავალს.

**ჯ. ჯაბალარი.**

# მივხედოთ საქმეს

საქართველოს დედაქალაქი მიტინგებისა და მანიფესტაციების ტალღამ მოიცვა. მართალია, ამ ბოლო დროს ეროვნული პარლამენტისა და სხვა კეთილი ნების ორგანიზაციებისა და საზოგადოებების ერთიანი ძალისხმევით მდგომარეობა შედარებით სტაბილური ხდება, მაგრამ ამ მყარი წესრიგის გარანტიებისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ.

ღირდა კი ამდენი დავიდარაბის, ვნებათა-ღელვის [illegible] რესპუბლიკის სოციალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში დაგროვილი უმწვავესი პრობლემები? იკითხავს მავანი და მას პასუხი უნდა გაეცეს. რათქმა უნდა, ყველა ამ სასიცოცხლო საკითხებს გადაწყვეტა ჭირდება, მაგრამ არა ასეთი გზით და ფორმით. განა ყველა ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყანას დალხენილი ცხოვრება აქვს? რასაკვირველია არა. მაგრამ მთელი თვეობით ვინ ნახა პარიზის, ამსტერდამის, ვენის, ბრიუსელის ქუჩები და მოედნები, მომიტინგეების ტალღაში ჩაფლული? მართალია, ჩვენი ხალხის ბედი, დუხჭირი ყოფა პოლარულად განსხვავებულია ევროპის მოწინავე ქვეყნების მოსახლეობის ისტორიული ხვედრისაგან, მაგრამ [illegible] ელემენტარული ნორმების დაცვა ხომ მაინც გვევალება. ყველაფერს, ბოლოს და ბოლოს საზღვარი აქვს.

ნუთუ არ შეიძლებოდა მომწიფებული პრობლემების მოგვარება პარლამენტური გზით? განა არსებობს ისეთი სადავო საკითხი, რომლის გადაწყვეტა პოლიტიკური დებატების გზით არ შეიძლებოდეს? ყოველივე ეს მოსახერხებელი გახლდათ, მაგრამ ვაგლახ, რომ ქართველები ზედმეტად ემოციურნი, სულსწრაფნი, პატივმოყვარენი, წამხედურნი, შურიანი და ბოღმიანი აღმოვჩნდით. ავყევით პირად წყენას, ამბიციებს და სხვათა გასაქილიკად გავიხადეთ თავი. დროა, აწი მაინც დავიცხროთ ვნებები, გადავლახოთ ეიფორია და ურთიერთ დიალოგით გადავწყვიტოთ საჭირობოროტო საკითხები. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეკონომიკური უღონობა და სიდუხჭირე დაგვრევს ხელს, ხალხო. გვეყოფა ამდენი [illegible] მიტინგები და მანიფესტაციები, ახლა ყველამ პირი ვიბრუნოთ მინდვრებისკენ, ყანებისკენ, ფაბრიკა-ქარხნებისკენ. თუ [illegible] არ დავღვარეთ, დოვლათი არ შევქმენით, მამაზეციერი ხომ არ გამოგვკვებავს?

ვიფიქროთ ამაზე, ჩემო თანამემამულენო.

**ი. ძანძავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვეულებრივი ფაშიზმი — ეს ყველამ უნდა წაიკითხოს — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე

ახლა დასათაურებული ინტერვიუ ვლადიმერ ჟირინოვსკთან, რომელიც სომხეთის რადიოს საკუთარმა კორესპონდენტმა კარო ანტონიანმა გაზეთ „გოლოს არმენიისათვის" სპეციალურად მოამზადა და 7-13 ოქტომბრის ნომერში გაზეთმა „გრუზია სპექტრმა" გადმობეჭდა.

შესაძლოა მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა არ იცოდეს ვინ არის ჟირინოვსკი. ეს ის ჟირინოვსკია, რომელიც სათავეში უდგას რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას და გასულ არჩევნებში კენჭს იყრიდა რსფსრ პრეზიდენტობაზე. მიიღო არც ისე ცოტა, 7 მილიონზე მეტი ხმა, და ამ არჩევნებში ბორის ელცინისა და ნიკოლოზ რიჟკოვის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. კიდევ კარგი, რომ ხელი მოეცარა და ვერ გაიმარჯვა მისმა კანდიდატურამ. ღმერთმა აშოროს ქვეყანას ფაშისტური ზრახვებით შეპყრობილი ასეთი პრეზიდენტი. ჟირინოვსკი იმედს არ კარგავს. მგონია, რომ მომავალ არჩევნებში დაამარცხებს არა მარტო ბორის ელცინს, არამედ მიხეილ გორბაჩოვსაც. მას აქვს საკუთარი პოლიტიკური პლატფორმა. სამწუხაროდ ყავს მომხრეთა და თანამგრძნობთა დიდი არმიაც. არ შეიძლება ნორმალური აზროვნების ადამიანი არ შეაძრწუნოს ყოველივე იმან, რაც ჩადებული აქვს ჟირინოვსკის თავის გეგმაში. იგი განსაკუთრებით ილაშქრებს ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების და საერთოდ სუვერენული დამოუკიდებელი რესპუბლიკების წინააღმდეგ. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მარტო ჟირინოვსკი ფიქრობდეს ასე. სამწუხაროდ რუსეთში მას ბევრი თანამოაზრე და მხარდამჭერი ჰყავს.

ჟირინოვსკი ნანობს, რომ სსრ კავშირში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორებმა კრახი განიცადეს.

აი რას ამბობს იგი:

„პუტჩისტები" შეცდნენ, რომ თავიანთ შემადგენლობაში არ ჩამრთეს: მე რომ მათთან ვყოფილიყავი, საქმე სხვანაირად დამთავრდებოდა.

მდგომარეობა რომ გამოსწორდეს და ქვეყნის ეკონომიკა გაჯანსაღდეს, საჭიროა მკაცრი ავტორიტარული რეჟიმის დამყარება.

მე დღეს რომ უფლება მქონდეს, ავკრძალავდი ყოველგვარი პოლიტიკური პარტიების არსებობას, სასტიკი კონტროლის ქვეშ მოვაქცევდი პრესას, ერთი მტკიცე, ძლიერი ნებისყოფის პიროვნებას დავუქვემდებარებდი ქვეყნის მართვის საქმეს. ახლა, რომ სსრ კავშირში მოეწყოს პრეზიდენტის არჩევნები, მჯერა ხალხი მე დამიჭერს მხარს და გავიმარჯვებ".

ღმერთმა ნუ ქნას დღეს, როცა დემოკრატიზაციისაკენ არის კურსი აღებული, ქვეყანას ახალი დიქტატორი მოევლინოს:

ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ ინტერვიუს ჟ[illegible]ინოვსკთან:

# „მე თქვენს დამოუკიდებლობას შიმშილში ამოვხდი სულს"

**კ. ა. —თქვენ ხომ ჯერ გამარჯვებული არა ხართ?**

ვ. ჟ. —ღრმად ვარ დარწმუნებული რომ გავიმარჯვებ. ამიტომაც მათ ეშინიათ ჩემი, გორბაჩოვს, ეჭვი რომ არ ეპარებოდეს თავის გამარჯვებაში, იგი აუცილებლად დანიშნავდა არჩევნებს. დღევანდელ კრიზისულ ვითარებაში ძალზე ძნელია ხალხის ნდობის მოპოვება. ამიტომ ისინი არ ჩქარობენ არჩევნების ვადის დანიშვნას, ატყუებენ ხალხს.

**კ. ა. —ბატონო ჟირინოვსკი. როგორ ფიქრობთ. მომავალი არჩევნების დროს თქვენს კანდიდატურას პრეზიდენტობაზე მხარს დაუჭერენ რესპუბლიკები? ისინი ხმას არ მოგცემენ, რადგან იციან, რომ თქვენ სუვერენულ რესპუბლიკებს გადააქცევთ გუბერნიებად**

ვ. ჟ. —კმაყოფილი ვარ, რომ მო[illegible] ასე ვითარდება. რესპუბლიკები კავშირის შემადგენ[illegible] და პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ. ეს მე სულაც არ მაფიქრებს და არც მემუქრება.

**კ. ა. —თქვენ რუსეთის პრეზიდენტობისათვის ემზადებით?**

ვ. ჟ. —დიახ, მაგრამ იცით როგორი რუსეთის? მე აღვადგენდი რუსეთის საზღვრებს სსრ კავშირის ფარგლებში.

**კ. ა. —როგორ და რა გზით?**

ვ. ჟ. —სრულიად უბრალოდ. ყაზახისტანი? იყო ასეთი სახელმწიფო? არ ყოფილა. ყაზახისტანს, თურქმენისტანს და ყირგიზეთს შევიყვანდი რუსეთის შემადგენლობაში.

**კ. ა. —სომხეთი და საქართველო ხომ ცალკე სახელმწიფოები იყო.**

ვ. ჟ. —დიახ იყო და დარჩება ახლაც. თქვენ გინდათ იყოთ დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო? კი ბატონო იქნებით, მაგრამ მე თქვენთან გავწყვეტ ყოველგვარ ეკონომიკურ კავშირს, გავწყვეტ კავშირს აგრეთვე ბალტიისპირეთთან და საქართველოსთან. თავისუფლებას შიმშილსა და სიდუხჭირეში ჩავახრჩობ.

**კ. ა. რატომ?**

ვ. ჟ. —იმიტომ რომ არ მომწონს თქვენი დამოუკიდებლობა. არ მომწონს, რადგან ეს არის მახვილის ჩაცემა რუსეთისათვის.

**კ. ა. —ყველა ერს ხომ აქვს უფლება იცხოვროს და განვითარდეს ისე, როგორც მას სურს?**

ვ. ჟ. —დამოუკიდებლობა გინდათ? იყავით დამოუკიდებელნი. განვითარდით ისე, როგორც გსურდეთ. მაგრამ ჩვენ არა ვართ ვალდებულნი სავაჭრო ურთიერთობა დავამყაროთ თქვენთან. მოგიწყობთ ეკონომიკურ ბლოკადას, შიმშილსა და სიდუხჭირეში ამოგხდით სულს. ჩვენ ყველაფერს მივყიდით ინდოელებს, იაპონელებს და ჩინელებს. ისინი კი უზრუნველყოფენ რუსეთს სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

**კ. ა. — უხერხულად ხომ არ ჟღერს სიტყვები „ჩახრჩობა", „ბლოკადა". ეს ხომ არანორმალური დამოკიდებულებაა სუვერენული რესპუბლიკების მიმართ?**

ვ. ჟ. —თქვენ რომ მშვიდობიანად გეცხოვრათ რესპუბლიკებში, ჩვენთან რუსეთში ავაშენეთ სამხედრო ქარხნები. ტანკები საჭმელად არ გამოდგება. ახლა ჩვენ ტანკებს გავყიდით. თქვენ კი სცადეთ თქვენი კალოშების გაყიდვა. დღეს კალოშები არავის არ სჭირდება.

**კ. ა. —განა შეიძლება ცივილიზებულ ერთა შორის ასეთი დამოკიდებულება?**

ვ. ჟ. —თქვენ ყველა რესპუბლიკები ცხოვრობდით რუსეთის ხარჯზე. თქვენ ყველას ჩვენი მანქანები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა გაქვთ. ავეჯიც ჩვენია. დააკვირდით მოსკოვურ [illegible]. ყველა ისინი სამხრეთ[illegible] მიედინება.

**კ. ა. —რუსეთის ფაბრიკა-ქარხნები მარტო თქვენი აშენებული ხომ არაა?**

ვ. ჟ. ბოდიშს გიხდით, მაგრამ რა გაქვთ თქვენ სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში? ატამი? მიირთვით თქვენი ატამი, ჭამეთ ხაჭაპური, ხინკალი, ჩვენ გვაქვს პილმენი. მაგრამ სცადეთ იარსებოთ რუსეთის ხეტ-ტყისა და ლითონის გარეშე.

**კ. ა. —ჩვენ ხომ გვაქვს უფლება დავპატიჟოთ ერთმანეთი?**

ვ. ჟ. —როგორ არა. შეგიძლიათ. მაგრამ კეთილი ინებეთ დაბრუნდით ჩვენს სახელმწიფო შემადგენლობაში. ჩვენ რატომ უნდა ვიხადოთ დოლარები თქვენი დაპატიჟებისათვის?

**კ. ა. —თქვენ მოგვეცით პილმენი, ჩვენ მოგცემთ ატამს.**

ვ. ჟ.— არ გვინდა. ჩვენ მას ჩინელებს მივცემთ. ეს უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის. დავამყარებთ კონტაქტს ინდოელებთან. საუბარი მქონდა ინდოეთის ელჩთან. მან მითხრა. ჩვენ სურსათი და სამრეწველო საქონელი თავსაყრელად გვაქვს. ვერ ვასაღებთ. მოგვეცით ტანკები. სამაგიეროდ ჩვენ მოგცემთ სურსათს, სამრეწველო საქონელს. ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია კავშირ-ურთიერთობა ინდოეთთან, ჩინეთთან, იაპონიასთან, ვიდრე სომხეთთან, სომხეთისათვის უფრო ხელსაყრელია თურქეთთან და აზერბაიჯანთან კავშირი. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ იქ მუსულმანებია, თურქულ ენოვანი, ხალხები ცხოვრობენ. ისინი ისტორიულად თქვენი მტრები არიან და მუსრს გაავლებენ სომხებს, ასე იყო წარსულში, ასე იქნება ღღესაც

კასპიისა და შავ ზღვებს შორის მოქცეული სომხეთი ერთი ციცქნა ქვეყანაა, რომელიც კატასტროფის წინაშეა.

მე მოგცემთ სცენარს, თუ რა მოელის სომხეთს. აზერბაიჯანი ემზადება გახსნას საზღვარი თურქეთთან და აღმოსავლეთ ანატოლიის 20 მილიონიან ქურთ მოსახ[illegible], რომელ[illegible] ძალზე აწუხებს თურქეთს. გზა გაეხსნება თქვენსკენ. მათ უნდათ მიწა. თურქეთის ხელისუფლება კი ეტყვის ქურთებს:

—თქვენ გინდათ მიწა, სახლი? ინებეთ. ნებას გრთავთ გაემგზავროთ იქითკენ, სომხეთისაკენ. ქურთები ფანატიკოსები არიან. დაიძრება მრავალმილიონიანი ტალღა ქურთებისა და წალეკავს თქვენს ერთ ციცქნა სომხეთს.

**კ. ა. —მაგრამ ისინი ხომ რუსეთსაც ესტუმრებიან?**

ვ. ჟ. —არა. ჩვენ ჩავკეტავთ საზღვრებს და ისინი ვერ შემოაღწევენ რუსეთში. თქვენ ვერც რესურსებს მიიღებთ ჩვენგან. თქვენ მე რუსეთის მეფე, ან ბოლშევიკი ხომ არ გგონივართ? რაც არ უნდა გაგიჭირდეთ ერთ ჯარისკაცსაც არ გამოვგზავნით მაშველად, ვიდრე ერთმანეთს არ ამოხოცავთ. მე შემოვალ თქვენთან, როცა სომხეთი ყამირად იქნება ქცეული. თქვენი დელეგაციები მუხლებზე დაჩოქილნი მოვლენ ჩვენთან და დაგვიწყებენ თხოვნას. მაგრამ ვერაფერს მიიღებთ ჩვენგან. ამას გეუბნებით მე მთელი პასუხისმგებლობით.

გორბაჩოვი და ელცინი გამოგიწვდიან თქვენ დახმარების ხელს. მაგრამ ისინი დიდხანს არ იქნებიან. მათ ადგილზე სხვები მოვლენ. და თუ მე მოვედი ხელისუფლების სათავეში, რუსი ხალხი ჩემს სახელს გაალმერთებს. მე მეორედ და მესამედაც ამირჩევენ. სიმართლე რომ გითხრათ მე ძალიან პატივმოყვარე გახლავართ. მე მინდა 15 წელიწადი ვუხელმძღვანელო ქვეყანას. ამ ხნის მანძილზე დავანახვებ რუსეთს თუ რა შეუძლია პრეზიდენტს, რომელიც ხალხის ინტერესებს იცავს. რუსეთს ვაგრძნობინებ თუ რა არის რუსეთი და როგორი უნდა იყოს მისი პრეზიდენტი.

**კ. ა. —იმედი გვრჩება, რომ თქვენ ვერ გახდებით პრეზიდენტი.**

ვ. ჟ. —ფუჭი ილუზიაა, სულ ტყუილად იმედოვნებთ.

საუბარი მოიყვანა სომხეთის რადიოს კორესპონდენტს კარო ანტონიანს.

„გრუზია სპექტრი" 7-13 ოქტომბერი.

**რედაქტორის მინაწერი:** შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა გვისაყვედუროს რა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი ვითომ დემოკრატის. ფაშისტური იდეოლოგიის აპოლოგეტის ინტერვიუს გადმოქართულება და დაბეჭდვა ჩვენს ადგილობრივ გაზეთში. ვინც ასე ფიქრობს სცდება. სწორედ რომ საჭიროა. ჩვენმა მკითხველმა ხომ უნდა იცოდეს ვინ როგორ ფიქრობს და აზროვნებს, ვინ არის მტერი და ვინაა მოყვარე, ვის აწყობს ამიერკავკასიაში მცხოვრები ერების გენოციდი.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ რუსი ინტელიგენციის არც თუ ისე მცირე ნაწილი ფიქრობს და აზროვნებს ასე.

დღეს, როცა საქართველო თავისუფლებისათვის იბრძვის, როცა ერი და ბერიც, დიდი და პატარა ერთი საერთო მიზნისაკენ მიისწრაფვის. ცენტრი მრავალგზის ნაცად მზაკვრულ ხერხს მიმართავს, რათა გაგვთიშოს ერთმანეთს, მტრად გადაგვკიდოს და მერე მუხლებზე დაგვაჩოქოს. ზოგ რამეს აღწევს კიდეც. დამაფიქრებელია ის შინააშლილობა, ძმათა სისხლის ღვრა, რომელიც კრემლის სცენარით ხორციელდება. ასეთ დროს ძმათა შორის შუღლი და მტრობა კი არა ერთ მუშტად შეკვრა და დარაზმულობა გვჭირდება საერთო მტრის წინააღმდეგ.

ხომ არ გვენიშნა ბატონ ჟირინოვსკთან სომეხი კორესპონდენტის საუბრის ის ადგილი, სადაც იგი ამბობს. ეთნოკრიზისებისა და შინააშლილობის დახაშოშმინებლად ჩვენ ჯარებს არ გამოგიგზავნით, თქვენთან ჩვენ მაშინ ჩავალთ, როცა ერთმანეთს ამოხოცავთ, სომხეთი ყამირად იქცევა. აი, როგორ განჭვრეტს სომხეთის ხვალინდელ დღეს დემოკრატიულ-ლიბერალური პარტიის ლიდერი ბატონი ჟირინოვსკი.

და ბოლოს საინტერესოა რატომ ხუჭავს თვალს ბატონი ჟირინოვსკი. განა ამიერკავკასიის რესპუბლიკების აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ეროვნული სიმდიდრე მარტო ატამი, ბროწეული, ხინკალი და ხაჭაპურია? ვინ აღრიცხავს 70 წლის მანძილზე საქართველოდან გაზიდულ ჭიათურის მარგანეცს, ქართულ ჩაის, ღვინოს, ბაქოს ნავთს, სომხეთის კონიაკს და თუ გნებავთ იმ ატამსაც, რომელსაც ასე ცინიკურად მოიხსენიებს ბატონი ჟირინოვსკი. განა საქართველოს კურორტები, რომელიც გონებას აკარგვინებს ჩვენს ჩრდილოელ, „უფროს დებსა და ძმებს" არაფერია?

[illegible] ვირწმუნოთ. რომ ღმერთი წყალობას არ მოაკლებს თა[illegible] საწყსოს და მომავალ არჩევნებშიც მოეცარება ხელი თავისთავში, დარწმუნებული შოვინისტურად განწყობილ პრეზიდენტობის მაძიებელს.

გამოხმაურება

## მხოლოდ „კოლხა“

სოფელ ოქტომბრისათვის სახელის გადარქმევის საკითხს არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა გაზეთ „ოდიშის“ ფურცლებზე. კარგია, რომ არის მრავალი მოსაზრება, ბჭობა და კამათი.

ჩემი, როგორც აღნიშნული სოფლის მკვიდრის აზრი ასეთია: სოფელ ოქტომბერს დაერქვას „კოლხა“, რომლის მნიშვნელობა ყველასათვის გასაგებია და არ იქნება ვინმესათვის ასახსნელ-სათარგმნი. ამ მოტივით „ნართი“ და „დავითიანი“ მიუღებლად მიმაჩნია. საერთოდ, „დავითიანს“ არაფერი საერთო არა აქვს დიდ დავით აღმაშენებელთან.

ასე, რომ „კოლხა“, მხოლოდ „კოლხა“...

შ. კინწურაშვილი,

სოფელ ოქტომბრის ცენტრალიზებული კულტსახლის დირექტორი.

## მადლობა დაიმსახურა

ცხრა თვეზე მეტია, რაც ბორჯომის ქუჩისა და მისი შესახვევების 43 აბონენტს არ ქონდა სატელეფონო კავშირი 130 გრძივმეტრი კაბელის უქონლობის გამო. ჩვენი ეს წუხილი გულთან ახლოს მიიტანა კოტე სამუშიამ. მან საკუთარი სახსრებით შეძენილი კაბელით გამოცვალა გაყვანილობა. ეს მეტყველებს საქმისადმი მის კეთილსინდისიერ პასუხისმგებლურ დამოკიდებულებაზე.

ლ. ცაგურია.

## წერილი „ოდიშს“

მიმდინარე წლის 8 ოქტომბრის გაზეთ „ოდიშში“ გამოქვეყნდა მწვანეთა მოძრაობის პრეს-ცენტრის მიერ მომზადებული მასალები.

წერილში „ეკონომიკური ზარალი თუ ეკოლოგიური კატასტროფა“ დასმული საკითხი არ შეეფერება სინამდვილეს, კერძოდ, საუბარია იმის შესახებ, თითქოს „საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ სოფელ ნარაზენში უნდა აშენდეს ასფალტის მწარმოებელი ქარხანა და საამისოდ ადგილი უკვე შერჩეულია, პროექტი კი იქმნება“. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პრეფექტური ორგანოებიდან არ არსებობს არავითარი ნებართვა ქარხნის ასაშენებლად, არც დასმულა ეს საკითხი სოფლის საკრებულოსა და პრეფექტურის წინაშე. ვთხოვ, მწვანეთა მოძრაობის პრეს-ცენტრს შემდგომში დაუზუსტებელი ცნობების გამოქვეყნებისაგან თავი შეიკავოს.

ხ. ბენდელიანი,

პრეფექტურის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის განყოფილების გამგე.

თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა მოვახსენო ქალაქის აკადემიკოს ანთელავას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმებს: ჯუმბერ ქვარაიას, მალხაზ ჟვანიას, რაიონის საავადმყოფოს ექიმ ალიოშა კაკულიას, მედდებს: ემა მოსიას, ლუდა სიგუას, მარინა ხარებავას, მაიაერემაძეს, ლიანა ბურლაშვილს და მედიცინის ყველა მუშაკს, რომლებიც ყურადღებასა და გულისხმიერებას არ მაკლებენ.

ვუსურვებ მათ მყარად იდგნენ ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

თენგიზ მესხია,

სოფელი ობუჯი.

### უგამოცდოდ ინსტიტუტში

**დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი**

აცხადებს, რომ 1991 წლის 10 ნოემბრიდან ქ. ზუგდიდში (ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის, გალის, ოჩამჩირის, სოხუმის, გულრიფშის, გუდაუთის, ტყვარჩელისა და გაგრის ახალგაზრდობისათვის ხსნის 8 თვიანი ფასიანი სწავლების მოსამზადებელ სკოლას, აბიტურიენტი, რომელიც წარმატებით დაამთავრებს აღნიშნულ სკოლას და გადაიხდის ინსტიტუტის პირველ კურსზე სწავლის სრულ ღირებულებას, უგამოცდოდ და გასაუბრების გარეშე ჩაირიცხება ამავე ინსტიტუტის სტუდენტად.

ინსტიტუტი ამზადებს: მშენებლობის, სამშენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საქალაქო მეურნეობის, ჯანდაცვის, ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის, ქიმიურ-სატყეო კომპლექსის, შრომის ბირჟის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, წარმოების ორგანიზაციის, საგამომცემლო საქმისა და პოლიგრაფიის ინჟინერ-ეკონომისტებს.

მოსამზადებელ სკოლაში მიიღებიან საშუალო განათლების მქონეპირები (გამონაკლის შემთხვევაში ზოგად საშუალო ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები), ქართული ენის მცოდნენი მიუხედავად მათი ეროვნებისა, რელიგიური მრწამსისა და ასაკისა.

მოსამზადებელ სკოლაში სწავლების ღირებულებაა 7000 მანეთი. მოსამზადებელ სკოლაში ჩარიცხვის დროს კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიეცემა უფრო მაღალნიშნიანი ატესტატის (დიპლომის) მქონეს.

განცხადებას რექტორის სახელზე უნდა დაერთოს საშუალო განათლების ატესტატი ან დიპლომი (საშუალო სასწავლებლის დამამთავრებელთაგან ბოლო კლასში ან კურსზე ყოფნის ცნობა), შრომის წიგნაკი (ვისაც აქვს), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, (ფორმა №086) ექვსი ფოტოსურათი (3X4), პირადად უნდა წარმოადგინონ პასპორტი ან დაბადების მოწმობა.

განცხადებები მიიღება 22 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე ყოველდღე 10 სა თიდან 16 საათამდე ინსტიტუტის სასწავლო პუნქტის სამდივნოში (ქ. ზუგდიდის მესამე საშუალო სკოლა, რუსთაველის ქ. №186. ტელ: 2—22—65).

აბიტურიენტთა მოსამზადებელ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა მოხდება 8 ნოემბრამდე. აბიტურიენტსა (აგრეთვე აბიტურიენტის მშობელსა) და ინსტიტუტის რექტორატს შორის კონტრაქტის გაფორმებისა და მოსამზადებელ სკოლაში სწავლების სრული ღირებულების გადახდის შემდეგ.

სწავლა დაიწყება 10 ნოემბერს.

რექტორატი.

ქ. სენაკის სამშენებლო-სარემონტო კოოპერატივი „მშენდეტალს“ მიღებული აქვს მისაღები ოთახის გარნიტური (სტენკა), ზომით 2,23X4,86 მეტრი, ღირებულება 10000 (ათი ათასი) მანეთი. (რუსეთის ნაწარმი).

მისამართი: ქ. სენაკი, სოფ. ნოსირი, აგურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

### მილოცვები, სურვილები

მაია და ლევან სარიებს დაბადების დღეს ულოცავენ ძმისშვილები გიგა და გოგა სარიები.

შვილები: ვაჟა, ნიურა, ჯუმბერი. შაუქარი, შვერდიკო სორდიები, რძლები: ნუცა, ნუნუ, ნაირა, ციალა, ნაზო, შვილიშვილები, ნანი, მაყვალა, გენდრი, ელვარდი ჭანტურიები, რამაზი, ნესტანი, ეკა, ლელა, ზაზა, ავთო, ასმათი, მაკა. ლაშა, დათო სორდიები, სიძეები: სოსო წითლიძე, ზური შენგელია, მამუკა ექონია. ძმისშვილები: ლამარა, ნანული. ომიანე, მიმოზა, მზევინარი. ლონდა მალანიები, დისშვილი გული ჯლანჯღავა, მაზლიშვილი პანტე სორდია და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ლილი (კიკა) არტემის ასულ მალანია-სორდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24. 25 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს სოფელ შამგონაში.

დედა გოგონა, მამა პალიკო, მეუღლე იზო, შვილები ელისო. ეკა, ბესიკი. დები დარეჯანი, ლუდა, ძმები გაგა. კიაზო, რძლები: ნინო, მაყვალა, გულნარა სორდიები, სიძეები: დემური შამუგია, ჯამბულ ალასკაროვი, დისშვილები: მარიკა. მაკა. შორენა, რუსლანი შამუგიები, ძმისშვილები: ნანა, ბონძი. გოდერძი. ლაშა. ქეთინო, ნათია სორდიები, დეიდა ნუნუ ქარჩავა, ბიცოლები გოგოლა სორდია, ლეილა კვარაცხელია, ნელი. ლამარა, მიმოზა. მერი ჯლამაიები, ბიძები: შალვა ქარჩავა, ველოდი კვარაცხელია, არხიპო. გურამი. ნუგზარი, მურმანი ჯლამაიები, ბიძაშვილები: ნინო. გიგლა სორდიები, ენვერი, ნანა, ბადრი, ნინო. ნონა კვარაცხელიები, ნონა. ემირი. ნონა. თორნიკე. გია. მანონი, პაატა. რობერტი, მაია. მამუკა ჯლამაიები, დეიდაშვილები: ლიანა. ფრიდონი. სვეტა. იზო. ნინო ქარჩავები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**როინ პალიკოს ძე სორდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24. 25 ოქტომბერს. დაკრძალვა 26 ოქტომბერს სოფ. ცაიშში. გამოსვენება სორდიას ქუჩა 86-დან.

შვილები თინა, ალიკო, მეგონა, რუბენი, რძლები თამარა მითაგვარია, თავარი თორდია, ნაზი გუნავა, ციური არველაძე, ეკა აფხაზავა, შვილიშვილები ზაზა. ლია. ბაია, თამუნა, ლალი, სალომე ქარჩავები, გოჩა, ლევანი ჯიქიები, ძმისშვილები მზია, აპოლონი, გურამი, რამინი ფიფიები. მაზლიშვილები: ვენერა. ვარვალა. ჟუჟა. დილარი. ომარი ქარჩავები. მულიშვილები: ლიდა არახამია. შურა, რენიკო ჩახაიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვალია ზოსიმეს ასულ ფიფია-ქარჩავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22. 23 ოქტომბერს. დაკრძალვა 24 ოქტომბერს სოფ. ინგირი (ოირმე) გამოსვენება საირმეს ქ. 110.

სიგნალები ადგილებიდან

## ნადგურდება ნარგავები

მიუხედავად მცდელობისა, ვერა და ვერ განხორციელდა ქმედითი ღონისძიებანი, ჩვენი ქალაქის ქუჩებში მოხეტიალე პირუტყვების თარეშის, მათი მეპატრონეების თვითნებობის ალსაკვეთად. ძროხები, ღორები, გარდა იმისა, რომ არაესთეტიკურ ფონს უქმნიან ჩვენი ქალაქის იერსახეს, ანტისანიტარიის გავრცელებას, უწყობენ ხელს და რაც მთავარია, უმოწყალოდ ანადგურებენ მწვანე ნარგავებს, ანაგვიანებენ ქალაქის ტერიტორიას.

საჭიროდ მიგვაჩნია ქუჩის კომიტეტების, უბნის რწმუნებულების პრინციპული ჩარევა ამ საქმეში, რათა ბოლოს და ბოლოს მართლაც აღიკვეთოს მოხეტიალე პირუტყვის თავაშვებული თარეში ქალაქის ტერიტორიაზე. დროა, ყველამ შევიგნოთ, რომ ჩვენი ქალაქი ჩვენი საერთო ოჯახია და მას ყოველნაირად უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

გ. ალშიბაია,

შრომის ვეტერანი.

რედაქტორი

აკ. შანტურია.

დედა თალიკო ყოლბაია, მამა კარლო სოსელია, ძმა დათო, დები: ეკა. ნანა, ბებია ნორა ესართია. ბიძები: გურამ ქირია, იურა, ინდიკო ყოლბაიები. სოსო სოსელია, გივი ბერიშვილი, იუზა ხვიტია, გული ჩიქოვანი, მამიდები ლიანა. მზია. მიმოზა სოსელიები. ბიძაშვილები: რობერტი. როლანდი, ვეტა ქირიები, დემნა სოსელია. მამიდაშვილები: ზურაბი. მადონა. ნინო ბერიშვილები, რობერტი, მარლესი, მიშიკო ხვიტიები, პაპუნა, ნუკრი გოროზიები, დეიდაშვილები: მარინა, მაია, მამუკა ჩიქოვანები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნუკრია (ნუგზარი) კარლოს ძე სოსელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23, 24. 25 ოქტომბერს. დაკრძალვა 26 ოქტომბერს. გამოსვენება პუშკინის ქ. 109-დან.

შვილები ჯემალი, ალიკო, ანგელინა. ნინო. ძმა იასონი, და იულია. რძლები: ელისო. რაისა. თინიკო, ლოლა. სიძეები მელორი ლემონჯავა, ალიოშა პერტაია, შვილიშვილები: სალომე, ქრისტინა აბაკელიები, ლექსო, ლაშა ლემონჯავები, მაზლიშვილები: მუქრი. კარლო. ლეილა აბაკელიები, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ოლია ნესტორის ასულ ჩახაია-აბაკელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24. 25 ოქტომბერს. დაკრძალვა 26 ოქტომბერს სოფ. ოქტომბერში.

დედა ნინო. მამა მამუკა. ძმა გენკა. ბაბუა გრიშა. ბებია ცაცი გვილავები. მამიდა ნენო. ბიძია ვალერი ლანჩავა, მამუკა გვილავა, ბიცოლები: ნირა ბარქაია, ნინო სარსანია, ბიძაშვილი ცირა ახალაია, ბაჩა. ბექა გვილავები, მამიდაშვილები: მაია. ელისო, ნათია. ბადრი ლანჩავები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გიგა მამუკას ძე ახალაიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 ოქტომბერს სოფ. განმუხურში.

და ცაბუ, შვილები: ვალერიანი, ნინა. გულნარა ღვინჯილიები. მუცა წურწუმია. რძლები: მზია ჩიქავა. გალინა ღვინჯილია, ნინო ლაშხია, ნესტანი ფიფია. ეკა ჩილაჩავა. შინო, ლუარა, შურა ეხვაიები, შვილიშვილები: თენგიზი. მერაბი, თამაზი, თემური. ქეთინო ღვინჯილიები, ნინო. ონისე დოჩიები,- ზურაბი გეთია, სიძეები: ალექსანდრე პაჭკორია, ჭაბუკა გობეჩია, დისშვილები, ცოლისდისშვილები, ცოლისძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თედორე სტეფანეს ძე ღვინჯილია.**

პანაშვიდი 22. 23 ოქტომბერს 4 საათზე გამოსვენება 24 ოქტომბერს 5 საათზე ზემო კახათიდან.

მეუღლე ოლიფანტე, შვილები: მზია. ელდარი, მურთაზი, ჯამბული, ძმა დოდუნი, დები: ბუცა. ფენია, გრავაშა, სიძეები: ლეონტი ფონია, ალიოშა გადელია, რძლები: ნაზო, კატია. ემა, აგრა, მარგო, მერი, შვილიშვილები: ზვიადი, ნონა, აქსანა, ლევანი, თამუნა, გიგა. მაზლები: შალვა, გრიშა, შოთა, მული შურა, ძმისშვილები: თენგიზი, შუხუზი, აზა. დისშვილები ლეილა ქეცბაია, რომანი, ქეთო. რუსიკო ცხადაიები. [illegible] ზი. ლორიტა, მერაბი ჭანტურიები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან. რომ გარდაიცვალა

**ნორა (ნელი) ჭითანავა-მამფორია.**

პანაშვიდი 24. 25. 26 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს. სოფ. ერგეტაში.

ქ. ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ყოფილი დირექტორის

**ირმა არტემის ასულ თოდუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ქ. ზუგდიდის ბიბლიოთეკა-მომსახურების სათაურის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ. რომ გარდაიცვალა ამავე სათაურის ინჟინერი

**გული ვლადიმერის ძე სიჭინავა.**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

24 ოქტომბერს 4 საათზე ინგირის სასაფლაოზე დაიმარხა

**ია ისიდორეს ასულ ბესელია-ეხვაიას**

სამოქალაქო პანაშვიდი.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. 86. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-38-69, [illegible] 2-31-98, [illegible] 2-21-78, მწერალი [illegible] 2-25-12, [illegible] 2-17-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №86, ≠ 23 07, ტირაჟი 5000 შეკ. №1697